პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---აპრილი 2024 წელი

ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, მახათას აღმართთან მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის და ერთი შესახვევისთვის ხელოვნებათმცოდნე ნადია შალუტაშვილის და მთამსვლელის, გეოგრაფ მარინე უთმელიძის სახელების მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ჩუღურეთის რაიონში, მახათას აღმართთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ხელოვნებათმცოდნე ნადია შალუტაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ჩუღურეთის რაიონში, მახათას აღმართთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ერთ შესახვევს მიენიჭოს მთამსვლელის, გეოგრაფ მარინე უთმელიძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

X=485871 Y=4619391
წადია შალუტაშვილის ქ
X=485989 Y=4619332
მარიწე უთმელიძის ქ.
X=485931 Y=4619293
X=485866 Y=4619250
მარიწე უთმელიძის ქ.
X=485778 Y=4619192
I შეს
წადია შალუტაშვილის ქ
X=486004 Y=4619179
X=485942 Y=4619136

(2)

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავჯდომარეს ნინო ვარდოსანიძეს

599909099
საკონტაქტო პირი

მოქლაქე:
გიორგი მაჭავარიიანი პ/ნ 01008025701
ვარლამ ფარცვანიაპ/ნ 12001011903
ცისანა ჩილაძე პ/ნ 01030020108
რეზო ფარცვანია პ/ნ 01019077568
თორნიკე ჩილაძე პ/ნ 01030048490
ნათია ბაზაძე პ/ნ01019055238
ფიქრია გიორგობიანი პ/ნ 04001002585
დავით ხიზანაიძე პ/ნ 20001000645
მარინა ალექსიშვილი პ/ნ 20001010915
გიორგი ხიზანაიძეპ/ნ 01524095239
ანი ხიზანაიძე პ/ნ 01524095240
გიორგი ჭარაქაშვილიპ/ნ01007004386
ხათუნა უგრეხელიძე პ/ნ 01007004344
თეა უგრეხელიძეპ/ნ 01007012613

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ რომ ვცხოვრობთ ქ.თბილისი ქუჩა 3 რეხი (საკ/კოდი 01.16.08.005/056, 01.16.08.005.059, 01.16.08.005.058, 01.16.08.005.092, 01.16.08.005/057) მისამართზე,დასახლება არის უმისამართო,რაც არაერთ პრობლემას გვიქმნის ცხოვრების ღირსეულ პირობების უზრუნველყოფისთვის და საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი სერვისების მიღებაზე, ვერ ვსარგებლობთ სახანძრო,საპატრულო, საფოსტო და სხვადასხვა სერვისებით,აგრეთვე ვერ ვახორციელებთ იურიდიულ დოკუმენტების რეგისტრაციას,ასევე ქვეყანაში არჩევნების დროს შეგვექმნება პრობლემები დამისამართების გარეშე ხმის მიცემის პროცედურაში.
2022 წელს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ქუჩაზე მოეწყო გარე განათება, მისასვლელი გზა მოიხრეშა და ეტაპობრივად მიმდინარეობს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

მოსახლეობის სახელით მოგმართავთ თხოვნით მოახდინოთ აღნიშნული ტერიტორიის დამისამართება,რათა მოსახლეობამ შევძლოთ უმისამართობით გამოწვეული არაერთი პრობლემის მოგვარება.

პატივისცემით:

მოქალაქეები:

გიორგი მაჭავარიიანი პ/ნ 01008025701

ვარლამ ფარცვანიაპ/ნ 12001011903

ცისანა ჩილაძე პ/ნ 01030020108

რეზო ფარცვანია პ/ნ 01019077568

თორნიკე ჩილაძე პ/ნ 01030048490

ნათია ბაზაძე პ/ნ01019055238 ნ.ბაზაძე

ფიქრია გიორგობიანი პ/ნ 04001002585

დავით ხიზანაიძე პ/ნ 20001000645

მარინა ალექსიშვილი პ/ნ 20001010915

გიორგი ხიზანაიძეპ/ნ 01524095239

ანი ხიზანაიძე პ/ნ 01524095240 ა. ხიზანაიძე

გიორგი ჭარაქაშვილიპ/ნ01007004386

ხათუნა უგრეხელიძე პ/ნ 01007004344

თეა უგრეხელიძეპ/ნ 01007012613

23.10.2023წელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032332072**
თარიღი: **16/11/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი გიორგი მაჭავარიანის 2023 წლის 23 ოქტომბრის საქმე #19/032329652-03 დაკავშირებით, რომლითაც მოთხოვნილია რეხის ქუჩის მიმდებარედ არსებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდება.
გაცნობებთ, რომ ტერიტორიის განაშენიანების პროცესი მიმდინარეობს გრგ-ს შესაბამისად, მოწყობილია ქუჩისთვის დამახასიათებელი ინფრასტრუქტურა, გზისთვის გათვალისწინებულ სივრცეს მინიჭებული აქვს შესაბამისი ფუნქციური ზონის სტსტუსი.
მოგმართავთ თხოვნით, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ განცხადებაში მითითებულ საკადასტრო ერთეულებთან გამავალი ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01233261268**
თარიღი: **22/11/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 16.11.2023 წლის #03-032332072 (16.11.2023წ. #14-01233203170-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ნადია შალუტაშვილი

(1918-2011)

თეატრმცოდნე, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი , პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი.

დაიბადა ბორჯომში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი 1940 წელს.

ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას (1946 წლიდან შ. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში). მთავარი ნაშრომები: "ა. ნ. ოსტროვსკი ქართულ სცენაზე" (1958), "ძმები ზანდუკელი-სანდუნოვები" (1965), "მეგობრობის გზებით"(1978), "გიორგი დავითაშვილი" (1970), "გიორგი ერისთავი და თეატრი" (1979) და სხვა. თეატრმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი (1974), პროფესორი (1975).

1967 წელს მიენიჭა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება,

1997 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

მარინე უთმელიძე

(1921-2007)

მთამსვლელი და გეოგრაფი. სპორტის ოსტატი , ტურიზმის წარჩინებული მოღვაწე . საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, ღირსების ორდენის კავალერი

მარინე უთმელიძემ 1946 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დაპყრობილი აქვს მყინვარწვერი, თეთნულდი, ასმაში, გისტოლა, სვეტღარი, ლეხზირი, შხელდა, ყურო, დომბაიულგენი, მარუხი და სხვა მწვერვალები. მყინვარწვერი 9-ჯერ აქვს დალაშქრული. ბევრ მწვერვალზე ასვლას თვითონ ხელმძღვანელობდა.

1952 წელს თ. ტატიშვილთან, ს. ცაიშვილსა და ჯ. მემმარიაშვილთან ერთად განახორციელა უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსი; 1949-1988 წლებში მუშაობდა პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკის სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტში (1957-1966 წლებში — გამგე). 1966-2000 წლებში ქართული ენციკლოპედიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერების რედაქციაში.

მარინე უთმელიძე მსოფლიოში პირველი ქალია, რომელმაც უშბის ორივე მწვერვალის ტრავერსი განახორციელა (1952).

მარინე უთმელიძე იყო ალიოშა ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1946-1963), ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს სამარშრუტო-საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე (1952-1999), მთამსვლელობისა და ტურიზმის უფროსი ინსტრუქტორი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ტურიზმსა და ალპინიზმში. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

2000 წელს მარინე უთმელიძე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.